პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

25 ივნისი, 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტისა და „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1[1] პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად შეიქმნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.

მუხლი 2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება დანართის შესაბამისად.

(დანართი დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 25 ივნისის №..... დადგენილების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე
მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო (შემდგომში - საბჭო) არის მუნიციპალიტეტის სათათბირო საკონსულტაციო ორგანო, რომელიც „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განიხილავს მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის, მათი უფლებების დაცვის მდგომარეობას და შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებსა და რეკომენდაციებს.

2. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ამ დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები

საბჭოს ფუნქციებია:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის პოლიტიკის გატარება;

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ზედამხედველობა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით;

გ) საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. საბჭოს უფლებამოსილებები

საბჭო უფლებამოსილია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოს შესაბამისი საკითხები, სათანადო კვლევების საფუძველზე მოამზადოს დასკვნები, რეკომენდაციები;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების იმგვარად შესამუშავებლად, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია;

გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხების შესწავლისა და განხილვისათვის მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები ან/და ექსპერტები, ითანამშრომლოს და მოაწყოს სამუშაო შეხვედრები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხების შესწავლისა და განხილვისათვის მოიწვიოს აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირი, რომელიც ვალდებულია დაესწროს საბჭოს სხდომას, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;

ე) შეიმუშავოს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი და წარუდგინოს საკრებულოს;

ვ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა სახის ურთიერთობებში.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა, ფორმირება და შემადგენლობა

1. საბჭოს თავმჯდომარეობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე ან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი წევრი.

2. საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და საბჭოს წევრებისაგან.

3. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის 2/3-ით ირჩევს საბჭო.

4. საბჭოს პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს 15 წევრით. საბჭოს შემადგენლობას საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ბრძანებით ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

5. საბჭოს შემადგენლობაში შედიან საკრებულოს წევრები, საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების წევრები, მერიის სამსახურების წარმომადგენლები.

6. საბჭოსთან შესაძლებელია შეიქმნეს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობას და საქმიანობის ფორმებს, საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 5. საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პირადი განცხადება;

ბ) საბჭოს წევრის მიერ არასაპატიო მიზეზით, ზედიზედ, ექვსი თვის განმავლობაში საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მიუღებლობა;

გ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

დ) საბჭოს წევრის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ე) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოაცხადა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ვ) გარდაცვალება;

ზ) მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა/უფლებამოსილების ვადის ამოწურვა და საჯარო მოსამსახურეთა განთავისუფლება.

მუხლი 6. საბჭოს საქმიანობის ორგანიზება

1. საბჭოს პირველ სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს მოადგილეს და მდივანს.

2. საბჭოს ყოველ მორიგ სხდომას 3 თვეში ერთხელ მაინც იწვევს საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში, სხდომას იწვევს და უძღვება საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. საჭიროების შემთხვევაში ცალკეული საკითხების განხილვის მიზნით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

3. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს საბჭოს წევრებთან შეთანხმებით ადგენს საბჭოს თავმჯდომარე.

4. საბჭოს სხდომაზე საკითხის წარდგენის უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოს წევრს და დაინტერესებულ პირს, საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

5. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

6. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

7. საბჭოს სხდომები და გადაწყვეტილებები ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.

8. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საჯაროა და ქვეყნდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.

9. საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ეგზავნება მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, შემდგომში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გათვალისწინების მიზნით.

მუხლი 7. საბჭოს საქმიანობის ანგარიშგება

1. საბჭო ამზადებს საბჭოს საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს და წელიწადში ერთხელ, წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში, წარუდგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას.

2. წლიური ანგარიში საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ქვეყნდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო განყოფილების უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. **ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ**

ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტისა და „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1[1] პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანი:

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესაბამისობაში მოყვანა „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

გ) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

ნორმატიული აქტის პროექტით განისაზღვრება„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საბჭოს დებულება და დებულებით გათვალისწინებული საკითხები. კერძოდ, განისაზღვრება საბჭოს ფუნქციები, მისი უფლებამოსილებები, საბჭოს სტრუქტურა, ფორმირება და შემადგენლობა, საბჭოს წევრობის შეწყვეტის საფუძვლები, საბჭოს საქმიანობის ორგანიზებასთან, საბჭოს საქმიანობის ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხები.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ნორმატიული აქტის მიღება დადებით ზეგავლენას მოახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება (მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტის შემთხვევაში):

ნორმატიული აქტის მიღება დადებით ზეგავლენას მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ვ) პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მიღება (გამოცემა):

ასეთი არ არსებობს.

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ:

ასეთი არ არსებობს.

2. **იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს**

წარდგენილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მიღება (გამოცემა):

საბჭოს დებულებით განსაზღვრული საკითხების დაფინანსების წყაროა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტი.

3. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

4. დადგენილების პროექტის შედგენაში მონაწილე პირები:

დადგენილების პროექტის შედგა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის, პროფესორის, საჯარო ფინანსების მართვის ექსპერტისა და ტრენერის, შორენა კახიძის რეკომენდაციების შესაბამისად.

დადგენილების პროექტის შედგენაში მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატარიძე.

5. დადგენილების პროექტის წარმდგენი საკრებულოს სხდომაზე:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო
განყოფილების უფროსი